ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19-75

2015 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-103 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06.01.2015; სარეგისტრაციო კოდი: 330130000.35.101.016104) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საქალაქო სასაფლაოებზე ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტები შესაძლებელია შემცირდეს ისე, რომ არსებითად არ შეიზღუდოს საფლავებს შორის დაშორება.“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

,,2^1. საქალაქო სასაფლაოებზე მომიჯნავე საფლავების გაერთიანება, რომელთაგან ერთი გაცემულია, ხოლო სხვა (სხვები) - თავისუფალი (მიუხედავად მასზე არსებული ნაგებობების არსებობისა), შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ადრე გაცემულ საფლავზე ადგილის დამატების საერთო წესის შესაბამისად.

2^2. 2^1 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში გაერთიანებულ საფლავში სამარეების საერთო რაოდენობა შესაძლებელია იყოს ექვსზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს ცხრა სამარისა.“.

3. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საფლავში, როგორც წესი, შეიძლება იყოს არა უმეტეს ექვსი სამარე. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია:

ა) ოპერატორის გადაწყვეტილებით თბილისის მთავრობის თანხმობით;

ბ) ამ წესის მე-6 მუხლის 2^2 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**